

## ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გერონტი მამფორიას ანგარიში-2019 წელს განეული საქმიანობის შესახებ.

სურვილი მაქვს წარმოგიდგინოთ, განეული საქმიანობის შესახებ შემაჯამებელი ანგარიში, როგორც თქვენთვის ცნობილია ვარ ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე, ასევე საკრებულოს ორი კომისიის:საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში ვმონაწილეობ ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ჩატარებულ სხდომებში, რომლის ფარგლებში მიღებული გვაქვს დღის წესრიგით გათვალისწინებული განკარგულებები და დამტკიცებული გვაქვს დადგენილებები, ასევე ჩვენი ფრაქცია აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს უმრავლესობის ფორმატით გამართულ სხდომებში, სადაც განვიხილავთ მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებს და მათი აღმოფხვრის გზებს, მათ შორის განვიხილეთ:

1. სოფლის პროგრამასთან დაკავშირებული საკითხები.
2. აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ორგანიზაციული საკითხები.
3. თხილის გადარჩენის პროგრამები.
4. სხვადასხვა ინფრაქსტრუქტურული პროექტები.

ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის სოფლებში საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად პროექტ “ღია შეხვედრები მოსახლეობასთან” ფარგლებში მონაწილეობა მივიღე მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებში, სადაც განვიხილეთ სოფლებში არსებული პრობლემური საკითხები და დაისახა მათი გადაჭრის ოპტიმალური გზები.

ასევე აქტიურად ვმონაწილეობ ზემოთ აღნიშნული კომისიის სხდომებში.

მუდმივი კომუნიკაცია მაქვს ახალგაზრდებთან და მათ მშობლებთან, კერძოდ, როგორც კარატეს ეროვნული ფედერაციის ლიცენზირებული მწვრთნელი, ექვსი დანის მფლობელი, სასპორტო სკოლის კარატე ჯგუფის გარდა, უანგაროდ ვავარჯიშებ 50-მადე ახალგაზრდას კარატეში და მუდმივად ვზრუნავ მათ გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაზე. ჩემს აღზრდილებს შორის არიან საქართველოს, კავკასიის, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები. ქტიურად ვმონაწილეობ სამოქალაქო და სპორტულ ღონისძიებებში.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე მაქსიმალურად ვიქნები ჩართული მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში .

თარიღი: 31.10.2019 წ.

